

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის 2016 წლის 09 სექტემბრის სხდომის
ოქმი №18

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით
პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაზაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1 - „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების
2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში
ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

კითხი 2 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების
გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16
თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.“

მოისმინეს საკითხი 1: „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში
არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების
შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49
განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №07/2/18 07.09.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას. კერძოდ ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და დაემატოს 1.39 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.39. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.27.526.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს საკითხი 2: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №07/2/67 08.09.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტები:

„1.23. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 380 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.26.362“. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 3 805 (სამი ათას რვაას სუთი) ლარით.

„1.24. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 419 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.587“. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 4195 (ოთხი ათას ას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარით.

1.25. . მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქსანში მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.10.05.159". საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 4005 (ოთხი ათას ხუთი) ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე




თ. მოძღვრიშვილი

კომისიის წევრები



დ. ვალიშვილი



დ. პაპიაშვილი



გ. ლაბაური



თ. ლელუაშვილი



დ. ჯალაბაძე